ავტობიოგრაფია

მე, ლაშა თავართქილაძე, დავიბადე 1980 წლის 25 აგვისტოს ხულოს რაიონში.

1997 წელს - დავამთავრე ხულოს რაიონის N1 საშუალო სკოლა.

2002 წელს - დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

2002 წელს - საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სამოსამართლეო სწავლების ცენტრში გავიარე მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი კურსი და 2003 წელს ავიღე შესაბამისი სერთიფიკატი.

2003 წელს - ჩავაბარე პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა და ავიღე შესაბამისი სერთიფიკატი.

2006 წელს - ჩავაბარე ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა და ავიღე შესაბამისი სერთიფიკატი.

2006 წელს - ჩავაბარე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალობით.

2007 წელს - ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით და ავიღე შესაბამისი სერთიფიკატი.

2002-2006 წლებში - ვმუშაობდი ქობულეთის რაიონის სანოტარო ბიუროში კონსულტანტად.

29.01.2007 - 29.11.2007 წელს - ვმუშაობდი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში მთავარ სპეციალისტად.

29.11.2007 - 05.11.2012 წლებში - ვმუშაობდი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში მოსამართლის თანაშემწედ.

05.11.2012 - 16.09 2013 წლებში - ვიყავი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

11.01.2013 - 28.05.2014 წლებში - ვმუშაობდი საქართველოს უზენაესი სასამართლოში - სამოქალაქო საქმეთა პალატის სამდივნოს კონსულტანტად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 27 მაისის N1/41 გადაწყვეტილებით სამი წლის გამოსაცდელი ვადით დავინიშნე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლის თანამდებობაზე ქობულეთის მუნიციპალიტეტში. ასევე 2014 წლის 9 ივნისიდან მოსამართლის უფლებამოსილებას ვახორციელებდი ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესის საბჭოს 2017 წლის 21 აპრილის N1/46 გადაწყვეტილებით, 2017 წლის 27 მაისიდან დავინიშნე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 11 იანვრის 1/12 გადაწყვეტილებით, 2018 წლის 18 იანვრიდან დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ვარ დაოჯახებული, მეუღლე და შვილი.

---------- /ლაშა თავართქილაძე/